წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კ.

# ახალი ცხოვრება

თბილისი, ოთხშაბათი 5 ივლისი 1906 წ.

თბილისი ოთხშაბათი 5 ივლისი, 1906 წ.

№ 12. ყოველ დღიური გაზეთი № 12.

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

## „ახალ ცხოვრებაზე“.

გაზეთი ღირება:

**თფილისში:** წლიურათ—5 მ, ექვსი თვით—2 მ. 50 კ., თვიურათ—50 კ.
**ქალაქს გარეთ:** წლიურათ 6 მან. ექვსი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

**ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.**

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба„.

კვირას 9 ივლისს, საწესში გადახდილი იქნება პანაშვიდი

## აკაკი ბაქრაძის

სულის მოსახსენებლათ.

**1906 წლის 5 ივლისიდან გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

## „სიმართლე“

გაზეთის ფასი: წლიურათ 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მ. 50 კ.

ქალაქს გარეთ თვიურათ 80 კ. ქალაქში 75 კ. მუშებისათვის 60 კ. ცალკე № ყოველგან 5 კ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე № 17.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакция „Симартле“.

## პროფესიონალური კავშირების ცენტრალური კომისია.

პროფესიონალური მოძრაობა დღითი დღე ძლიერდება. თფილისის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე თითქმის ყოველ დღე არსდება პროფესიონალური კავშირები; სდგება წესდებები, ირჩევა ბიუროები და სხვა. ცხადია, პროფესიონალური კავშირები დღესვე საჭირო ყოფილა მუშათა ცხოვრებაში. ამავე დროს ცხადია აგრეთვე ის, რომ კავშირების დაარსებას და საქმის რიგიანათ წარმოებას ერთგვარი დახმარება და ხელმძღვანელობა ესაჭიროება. ყველა ეს სახეში მიიღო თბილისის კომიტეტმა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა და დაარსა „პროფესიონალური კავშირების ცენტრალური კომისია“, როგორც 1) დახმარება-ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს უკვე არსებულ კავშირებს და 2) ხელი უნდა შეუწყოს ახალი კავშირების შედგენას. წინადადებას ვაძლევთ ამხანაგ მუშებს რაიონების შემწეობით მიმართონ ხოლმე ამ კომისიას.

## პროფესიონალური კავშირები თბილისში.

დაჰკრა თავისუფლების სიომ და წამოიშალა მასსა. გუშინ კუთხეებში მიმალული, უორგანიზაციოთ დარჩენილი მასსა. დღეს სინათლეზე გამოვიდა და თავისი ორგანიზაცია, მასსიური ორგანიზაცია მოითხოვა. მას არ აკმაყოფილებს და ვერც დააკმაყოფილებს ძველი და ვიწრო კონსპირატიული ორგანიზაცია—იქ სუნთქვა სჭირს, მასსას ფართე და ფესვგამდგარი ორგანიზაცია უნდა. და აი, დაიწყო პროფესიონალური კავშირებში: საპოჟნიკები, მკერვალები, სტამბის მუშები, მეპაპიროზეები, მეპურეები—ყველა კავშირებზე ლაპარაკობს, ყველას კავშირები უნდა...

და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ფაბრიკანტები კაი ხანია კავშირებათ ეწყობიან, მოსკოვის და პეტერბურგის ფაბრიკანტებმა, უკვე დაარსეს თავიანთი კავშირები, ქვა-ნახშირის მთა-მადნების, შაქრის და ნავთის წარმოების პატრონები უკვე შეკავშირებულნი არიან და სიეზდებზე იკრიბებიან, პროვინციის ფაბრიკანტები კი გულმხურვალეთ ბაძავენ მათ - აიღეთ თუნდა თბილისის საპაპიროზო ფაბრიკანტების „სინდიკატი“... რა მიზანი აქვს ამ კავშირებს? მხოლოთ ის, რომ ბურჟუაზიამ, მათი შემწეობით ხელში დაიჭიროს მუშები, ხელფასი დაუკლოს მათ, მუდამ შიშში ამყოფოს და ასე ძირიანფესვიანათ გაამაგროს თავისი ექსპლოატატორული პოზიცია. როგორ უნდა შეხვდროდნენ ამას მებრძოლი მუშები, რა უნდა დაეხვედრებინათ წინ ბურჟუაზიის კავშირისთვის? რა თქმა უნდა, თავიანთი საკუთარი კავშირი! ტყუილათ კი არ ამბობდა მარქსი: „ბურჟუაზიის კავშირს მხოლოთ მუშათა კავშირი შეარყევსო“. მუშები ძალიან კარგად მიხვდნენ ყველა ამას და ამიტომ არის, რომ ასე ხელაღებით გაიბრძოლეს პროფესიონალური კავშირებისკენ. რა ხასიათის უნდა იყოს პროფესიონალური კავშირები, პარტიული თუ არა პარტიული?

გვეუბნებიან, რომ კავშირები უეჭველათ პარტიული უნდა იყოსო. რატომ? იმიტომ რომ ამას მოითხოვს მუშების პროფესიონალური ინტერესებიო —ასე ლაპარაკობენ, მაგალითათ, დაშნაკცაკანები. ჩაუკვირდით საქმეს. რას ნიშნავს, პარტიული პროფესიონალური კავშირები? ეს, ყველაზე პირველათ იმას ნიშნავს რომ სხვ-და-სხვა პარტიების წევრებმა და სხვა-და-სხვა კავშირებში უნდა მოიყარონ თავი, ერთმანეთი უნდა დაეშორონ და ცალკე ჯგუფებათ დაწვრილმანდნენ; ფედერალისტებს ცალკე პროფესიონალური კავშირი, დაშნაკცაკანებს ცალკე, ქართველებს ცალკე, სომხებს კიდევ ცალკე და სხვა. მაშინ როდესაც ფაბრიკანტები ყველა ერთ კავშირში ერთდებიან, განურჩევლათ მათი პოლიტიკური რწმენებისა, დაშნაკცაკანები გვირჩევენ ცალკე ჯგუფებათ დავწვრილმანდეთ და მით სამარე გაუთხაროთ ჩვენს ერთსულობას თანაც გვარწმუნებენ, რომ ამას ხმა მაღლა მოითხოვს მუშათა პროფესიონალური ინტერესებიო! ჩვენ არ ვიცით რომელ მუშებზე ლაპარაკობენ ბ. დაშნაკცაკანები, შეიძლება მათ თავიანთი „ინტელიგენტები“ და ფაბრიკის მუშები ერთმანეთში ერევათ, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგა ვიცით, რომ ნამდვილი მუშების ნამდვილი ინტერესები ძირიანათ უარჰყოფენ მუშათა პროფესიონალურ დაქუცმაცებას, ჩვენ ძალიან კარგა ვიცით, რომ მუშების დანაწილებას მხოლოთ ფაბრიკანტების ინტერესები მოითხოვს, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. საქმე იმაშია, რომ პარტიული პროფესიონალური კავშირები ორმოსა სთხრიან შეგნებულსა და შეუგნებელ მუშებს შორის, ყველამ იცის. რომ არიან ისეთი მუშები, რომლებიც არც ერთ პარტიას არ ეკუთვნიან. დაშნაკცაკანები, ფედერალისტები, სოციალდემოკრატები და სხვა პარტიების წევრები, ვთქვათ, ყველა თავთავიანთ კავშირში შევლენ. მაგრამ ეს უპარტიო მუშები სადღა უნდა წავიდნენ? განა საჭირო არაა მათი მომხრობა? და აი, იმის მაგიერ, რომ ისინიც მოიზიდონ, დაშნაკცაკანები პროფესიონ. კავშირის კარებს უკეტავენ მათ, აფრთხობენ მათ, ხიდს სტეხენ შეგნებულსა და შეუგნებელ მუშებს შორის და მით შესამჩნევათ აუძლურებენ მუშათა ერთობას! განა ამას მოითხოვს მუშათა პროფესიონალური ინტერესები?

მაშ თქვენ სრულიად ნეიტრალური კავშირები გდომებიათ. მაშ თქვენ იმისი მომხრე ყოფილხართ რომ კავშირები სრულიად დამოუკიდებელი იყვეს პოლიტიკისგან! გვიკიჟინებენ ზოგიერთები. ხუმარები! მათ არ სცოდნიათ, რომ საქმე კავშირის წესდებაში არაა, მათ არ სცოდნიათ, რომ რაც უნდა ნეიტრალური წესდება დასწერო, თვითონ კავშირი მაინც ვერ დარჩება მთლათ ნეიტრალურათ, მათ არ სცოდნიათ, რომ დღევანდელ რევოლიუციონურ ატმოსფერაში „ქვებიც კი პოლიტიკაზე ლაპარაკობენ“! არა ბატონებო! ჩვენ არ ვემხრობით და ვერც მივემხრობით სრულიათ ნეიტრალურ კავშირებს,—ჩვენ მხოლოთ იმას ვამბობთ, რომ არ ვარგა, გონიერი არაა კავშირში შესვლის მიუცილებელ პირობათ დავსახოთ პარტიული რწმენები, ამით ჩვენ მხოლოთ დავაფრთხობთ არა პარტიულ მუშებს, ჩვენ ვამბობთ: ფართოთ გაალეთ კავშირის კარები, ერთათ მოუყარეთ თავი ყველა მუშას და შემდეგ თითონ ცხოვრება და ჩვენი გავლენა შეადუღებს მათ ერთ და განუყოფელ კავშირათ. არა პარტიული პროფესიონალური კავშირები—აი რა გვინდა ჩვენ.

კობა

**გაფიცვები შიდა რუსეთში.—გლეხების მღელვარება ტამბოვის გუბერნიაში.—მღელვარება ჯარში.—გერმანელი ამხანაგების აზრი ჩვენ პარტიულ უთანხმოებაზე.—ვიტტეს აზრი კადეტურ სამინისტროზე**

## სადღეისო კითხვები

### დუმა და ხალხი.

როგორც საზოგადოებაში, ისე პრესსაშიაც ხშირათ შეხვდებით ასეთ მსჯელობას: რაც დრო მიდის, დუმა სულ უფრო და უფრო რევოლიუციონერდება, იგი სულ უფრო და უფრო მარცხნით იხრება და რევოლიუციის იარაღათ ხდება. სამწუხაროთ, ვინც ამნაირათ მსჯელობს. იმას „პირველყოფილ მდგომარეობისათვის“ კიდევ ვერ დაუხწევია თავი. რაში გამოიხატება დუმის გარევოლიუციონერობა, მისი თანდათან მარცხნით ვადახრა? შეიძლება იმაში, რომ კადეტების გავლენის ქვეშ მყოფი დუმა ძველ მთავრობას ნდობას უცხადებს და დამშეული ხალხის დახმარების მოწყობას ისევ მას უტოვებს ხელში? ან შეიძლება იმაში, რომ დუმის სახიანი კადეტი მურომცევი პროლეტარიატის წარმომადგენელს უკრძალავს დუმაში ხალხის მოთხოვნების გამომჟღავნებას? სიტყვების: „დამფუძნებელი კრება და რესპუბლიკას ხმარების ნებას მე დუმაში არავის არ მივცემო“,—ურცხვათ და დაურიდებლათ გააწყვეტია სიტყვა ამ გასუქებულმა ბურჟუამ ამხ. რამიშვილს. ან შეიძლება დუმის გარევოლიუციონერებას იმაში ხედვენ, რომ იგივე კულტუროსანი კადეტები კანონიერების დარღვევაზე გაკივიან და ამიტომ გორემიკინ-სტოლიპინის სამინისტროს ადგილას თვით იმათგან შემდგარ სამინისტროს დანიშვნას ემდურებიან კამარილას? ან შეიძლება დუმის რევოლიუციის იარაღათ გადაქცევა ის არის, რომ თვით ტრეპოვიც მზათაა დუმის უმრავლესობისაგან დანიშნოს სამინისტრო? ახლა გაიხედეთ, თუ რა ხდება ხალხში. ხალხის რევოლიუციური მოძრაობა სულ უფრო ღრმავდება და მაგარ ფესვებს იკეთებს. წარსული ბრძოლის მწარე გამოცდილებით აღჭურვილი პროლეტარიატი ახლა უფრო ფრთხილათ და დინჯათ ემზადება თავისი მომავალი გამოსვლისათვის. პროლეტარიატის გზას ადგება გლეხობაც. ვინ არ იცის, რომ ჯერ კიდევ ამ ერთი წლის წინეთ გლეხების მოძრაობას რუსეთში წმინდა სტიქიური ხასიათი ჰქონდა; იქ ადგილი არ ჰქონდა შეგნებული მოქმედებას,. და რაც შეეხება ორგანიზაციას, ორგანიზაციონურ მუშაობას, ამაზე ხსენებაც არსად იყო. დღეს კი სულ სხვასა ვხედავთ. გლეხები ძლიერ ჩქარა ითვისებენ ბრძოლის იმ ნაცად იარაღებს, რომლებსაც პროლეტარიატი ხმარობდა და ხმარობს თავისი მტრების წინააღმდეგ. კავშირი, გაერთიანება, გაფიცვა, ბოიკოტი, ორგანიზაციების შექმნა, კომიტეტები, საბჭოები დღეს უკვე ეფინება რუსეთის მთელ გლეხობას. თუ აქამდის გლეხობის მოძრაობა დაქსაქსული იყო, თუ დღემდის ეს მოძრაობა ორგანიზაციულათ მოუწყობელი იყო, დღეს საქმე სულ სხვანაირათ დატრიალდა. ამნაირათ იმ დროს, როცა დუმის უმრავლესობა სულ უფრო და უფრო მარჯვენით იხრე-

ბა, ბიუროკრატიის წინაშე სახელს იკეთებს და კამარისთვის ქლანებს აწყობს რევოლიუციის წინააღმდეგ, რევოლიუციური მოძრაობა ხალხში სულ უფრო და უფრო ღრმავდება და ფართოვდება. აშკარაა ასეთ პირობებში შეუძლებელია, რომ დუმა ხალხის მოძრაოპის უნებურათ, რევოლიუციის იარაღათ გადაიქცეს.

## დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

**ქუთაისი.** 3 ივლისს დილით ბაღდადის გზაზე ყაჩაღებმა გაძარცვეს ორი დილიჟანსი 30 მგზავრით. წაიღეს 2 ათასი მანეთი და მიიმალნენ. ამდღესვე რკ. გზის ჟანდარმერიამ დაიჭირა ერთი ნომარა „ვესტან სპიაშჩის“ გამოცემისა და გადასცა საგუბერნიო ჟანდარმერიას, რომელმაც ვერ იპოვა ის აკრძალულ გამოცემათა სიაში და ჩააბარა კოლხიდის გამგეს.

## ახალი ამბები

სარაჯევის მუშების გაფიცვა გამარჯვებით გათავდა. გუშინ უკვე დაიწყეს მუშაობა. მოიგეს ყველა მოთხოვნა, სხვათა შორის მოემატათ ჯამაგირზე 25 პროცენტი 20 ივნისიდან, როგორც ოლგინის ქუჩაზე ისე ავჭალის ქუჩაზე მომუშავეთ. მაგრამ ოლგინის ქუჩაზე მომუშავეთ გუშინვე შეუშალეს პირობა და 20 ივლისიდან ჯამაგირის მომატებაზე უარი უთხრეს. რისთვისაც ხელმეორეთ გაიფიცნენ.

✦ კვირას პუშკინის ბიბლიოთეკაში დანიშნულია კრება დურგლებისა, რომელზედაც უნდა მოილაპარაკონ დურგლების პროფესიონალურ კავშირის დაარსების შესახებ.

✦ ტოლლუ-ტაიროვის და კომპ. ქარხნის მუშებმა თუთუნის ფაბრიკების გაფიცულ მუშების სასარგებლოთ შეაგროვეს 55 მანეთი.

✦ ქართული წარმოდგენა, რომელიც 25 ივნისს იყო დანიშნული ძმათა ნიკიტინის ცირკში და გადადებულ იქმნა 5 ივლისისათვის, ახლა ხელმეორეთ გადაიდო 20 ივლისისათვის, რადგან დაატუსაღეს რამოდენიმე პირი, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ წარმოდგენაში. გამგე ფურცელაძე.

✦ 3 ივლისს მოხდა შეერთებული კრება უსაქმოთ დარჩენილთა ბიუროსი და ქ. გამგეობის. კრებაზე გამოირკვა, რომ სულ ჩაწერილია უსაქმოთა სიაში 570 ინტელიგენტი; გადადებულია სამუშაოსათვის 21 ათასი მანეთი. სტატისტიკის გამგე საკმარისათ სთვლის თვიურათ 30 მანეთს თითოეულისათვის. ბიურო საკმარისათ არ სთვლის ამ გადადებულ ფულს და თხოულობს 6 ათასი მანეთი კიდევ მოუმატონ.

✦ იმერეთის ეპისკოპოზს ლეონიდს წინადადება მიუღია სინოდისაგან, გადააყენოს სამსახურიდან მღვდელი გიორგაძე ქართველი სამღვდელოების სახელით სინოდში ტელეგრამის გაგზავნისათვის, რომელშიაც აცნობებდა, რომ ახლათ დანიშნული ეგზარხოსი ნიკონი საქართველოში არ მოვიდესო.

✦ ორთაჭალაში მირზოევის ბაღში ფილოქსერა აღმოუჩენიათ. მიიღეს ზომები.

✦ რადგან ამ უკანასკნელ დროს თანდათან ხშირდება ყაჩაღობა და თავდასხმა, 3 ივლისს თფილისის გენ.-გუბერნატორმა განკარგულება გამოსცა, რომლის ძალითაც ყოველ გოროდოვოის რამდენიმე სალდათი ენიშნება დასახმარებლათ.

✦ თვეზე მეტია რაც ქალაქის თვითმართველობა საზოგადო სამუშაოს შეპირდა უსაქმოთ დარჩენილ მუშებს, მაგრამ დღევანდლამდე სამუშაო არ მიულია, გუშინ მოთმინებიდან გამოსული მუშები შეიჭრენ ქალაქის თვითმართველობაში და მოითხოვეს დაუყოვნებლივ მიეცეთ სამუშაო. ქ. თავი შეპირდა საბჭოს საგანგებო კრებას მოვიწვევ ხუთშაბათისათვის და წარუდგენ თქვენს მოთხოვნილებასო.

✦ ბათომიდან გვატყობინებენ, რომ 1 ივლისს დღისით 1 საათზე ორი ყაზახი მარინსკის პროსპექტზე დაედევნა ვიღაც საეჭვო პირებს და თან სროლა დაუწყეს. სროლის დროს შემთხვევით დასჭრეს კ-მაროვის ქუჩაზე მიმავალი კონტორშჩიკი მ. ვარშამოვსკი.

✦ არდაგანიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ 2 ივლისს ღამით არდაგნის სატუსაღოდან გაიქცა 6 ტუსაღი. ორი იმათგან ისევ დაატყვევეს.

✦ ბათუმიდან გვატყობინებენ, 1 ივლისს შუადღის 4 საათზე რევოლვერებით შეიარაღებული სამი უცნობი თავსდაეცა ნობელის ქარხნის ხაზინადარს, რომელსაც 19000 მანეთი მიჰქონდა ქარხანაში მოსამსახურეების დასარიგებლათ. ყაჩაღებმა წაართვეს მთლათ ეს ფული და მიიმალნენ.

✦ როგორც გვაცნობეს ამას წინეთ ვერაზე დაჭრილი გოროდოვოი პაპოვი გარდაიცვალა,

## პრესა

ჩვენს წერილს „ეროვნულ ავტონომიაზე“ (იხ. „ახალ. ცხ.“ № 3) ძლიერ გაუწიწმატებია ერთი ფედერალისტი ვინმე ა—ლი, რომელიც გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე მოჰყოლია დედაბრულ ლანძღვა-გინებას და უშინაარსო აბდაუბდობას, რომელიც მით უფრო სასაცილოა, რომ ავტორს თავისი თავი ფრიად განსწავლულ და გონება-მახვილ პოლიტიკოსათ გამოაქვს. ის უკვე გამარჯვებულ ყვინჩილასავით მედიდურათ თავს დაგვტრიალებს და „რუსულ“ (?) ანდაზას იმეორებს: „თუ ღმერთს სურს დასაჯოს ვინმე, მას ყველაზე უწინ გონებას წაართმევსო“. მოგვითმენით სინიორ: ეს გონიერი ანდაზა მგონი თავის ადგილზე არ არის. ჩვენ ვამტკიცებდით რომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეროვნული ჩაგვრა მინიმუმამდეა მისული თქვა და მაგ. მოგვყავდათ შვეიცარია, რომელშიც თუმცა ყველა შესაძლებელი დემოკრატიული რეფორმები არაა განხორციელებული, მაგრამ ეროვნულ ჩაგვრას მაინც თითქმის სულ არ აქვს ადგილი. ამის შესახებ „ივერიის“ „პუბლიცისტი“ გაიძახის:

„ამ სტრიქონების დამწერი ეტყობა შაურიან ბროშიურებითა და პროკლამაციებით არ ს აღზრდილი, თორემ ისტორიაში რომ ჩაეხედნა დაინახავდა რომ დემოკრატიული რესპუბლიკა, საფრანგეთი, მაგალითად ისევე სჩაგრავს ალჟირელ არაბებს, როგორც ოსმალები—სომხებს.

აი დახეთ დიდ-ტანიან წიგნებით აღზრდილ ფედერალისტს! მას საფრანგეთი დემოკრატიული რესპუბლიკა ჰგონებია! მას რომ იმის გაგება შეძლებოდა რაც შავი ასოებით ნათლათ არის აღბეჭდილი თეთრს ქაღალდზე, მაშინ, ასეთ სასაცილო საბუთებს ხელს არ მოჰკიდებდა, მიტომ რომ ჩვენ ნათლათ ვამტკიცებთ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ისეთი პოლიტიკური ფორმაა სადაც გაბატონებული არა კაპიტალისტების ის თუ ეს ნაწილი არამედ ბურჟუაზია, როგორც ერთი მთლიანი კლასი. საფრანგეთში კი ბიუროკრატიის, მუდმივი ჯარის, პოლიციის და სხ. წყალობით პოლიტიკური სასწორი მხვიული ბურჟუაზიისკენ არის გადახრილი ჩვენ „მეცნიერს“ რომ მაგ. კაუცკის „შაურიანი ბროშურები“ წაეკითხა („ანტიბერნშტეინი“, და „რესპუბლიკა და სოციალ-დემოკრატია საფრანგეთში“) ეცოდინებოდა რომ ჩვენი აზრით დღეს ევროპაში დემოკრატიული რესპუბლიკა ორსად არ არსებობს. დემოკრატიული იყო საფრანგეთის 1793 წლის რესპუბლიკა, დემოკრატიული იყო პარიზის კომუნა, დემოკრატიული რესპუბლიკისკენ მიდის რუსეთი; რაც შეეხება დღევანდელ საფრანგეთს, ის სულაც არაა დემოკრატიული რესპუბლიკა და ამიტომ ჩვენი აზრის დასასურათებლათ არ ვარგა. შვეიცარია კი ყველაზე მეტათ უახლოვდება „დემოკ. რესპ.“ ტიპს და ამიტომაა რომ იქ ეროვნულ ჩაგვრას თითქმის სულ არ აქვს ადგილი.

„მაგრამ ვიკითხოთო, გაიძახის მეორე ფედერალისტი ბატ. იგივე „შრომის“ საკუთარ ფელეტონში „რატომ არის ეს შვეიცარიაში, იმიტომ რომ შვეიცარია რესპუბლიკაა, თუ იმიტომ, რომ ის ფედერაციას წარმოადგენს? ჩვენ ვუპასუხებთ: მიტომ რომ შვეიცა-

## ფელეტონი

### რა აზრის არიან გერმანელი ამხანაგები ჩვენს უთანხმოებაზე. *)

გერმანიის სოციალდემოკრატიის ცენტრალური ორგანო „ფორვერცი“ (წინ) ერთ სარედაქციო სტატიაში უხსნის თავის მკითხველებს, თუ რა ტაქტიკური უთანხმოებები არსებობს ჩვენს პარტიაში. ის სცნობს, რომ ეს უთანხმოებები „აღმოცენებულია თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის სხვა და სხვანაირ დაფასებაში“ და კამათის საფუძვლათ მიაჩნია კითხვები, თუ როგორ უნდა ვეყურებდეთ დუმას და ბურჟუაზიულ დემოკრატიის მხარის დაჭერას. „Vorwärts“-ს მოკლეთ აქვს მოყვანილი ორივე ფრაქციის შეხედულებანი და შემდეგ განაგრძობს:

„ორივე ჩვენ მიერ მოხსენებული შეხედულება ერთნაირათ მართალიც არის და არც არის მართალი. ორივე შეხედულება იმაშია შემცდარი, რომ ისინი თავის ტაქტიკას აშენებენ რევოლიუციის განვითარების ერთ (კურსივი „ფორვერცისაა“) შესაძლებლობაზე: „უმრავლესობა“—დუმისგან დამოუკიდებელ სახალხო აჯანყებაზე, „უმცირესობა“ — დუმის გარევოლიუციონერებაზე. ნამდვილათ კი, რუსეთის მეტის მეტათ ჩახლართულ პოლიტიკურ მდგომარეობაში ისეთი ელემენტები მოიპოვება, რომლებსაც, გარემოებების მიხედვით, შეუძლიათ ერთნაირათ ან მეორენაირათ გადაწყვიტონ კრივისი. ამიტომ, შესაფერი ტაქტიკის შემუშავების დროს ორივე (კურსივი „ფორვერცისაა) შესაძლებლობა უნდა იქნეს სახეში მიღებული.“

ჩვენ ძალიან კარგათ გვესმის ის სიფრთხილე, როგორითაც ჩვენი გერმანელი ამხანაგები ჩვენს უთანხმოებებზე ლაპარაკობენ. მაგრამ სიფრთხილემ საგანზე ნათელ წარმოდგენას არ უნდა ავნოს. ვინც იმას ამბობს, რომ პარტიის ტაქტიკა ერთნაირათ მართალიც არის და არც არის მართალი, იმატომ რომ ის ერთ შესაძლებლობაზეა აშენებული, ის არსებითათ არაფერს არ ამბობს. უფრო მეტიც,—ის საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ტაქტიკა, რომელიც ყოველნაირ შესაძლებლობაზეა აშენებული, ყველაზე სწორი ტაქტიკაა. ასეთი აზრი-კი სრულიათ შემცდარი იქნებოდა.

ყოველმა პოლიტიკოსმა ხომ აუცილებლათ უნდა შეუთანხმოს თავისი მოქმედება ერთ რომელიმე შესაძლებლობას, სახელდობრ ისეთს, რომელიც მას ყველაზე უფრო შესაძლებლათ მიაჩნია. (ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ის ანგარიშს არ უნდა უწევდეს სხვანაირ შესაძლებლობასაც). და რაც უფრო სწორი იქნებოდა მისი წინასწარი გაჭვრეტა საქმეთა მომავალ მიმდინარეობის შესახებ, და რაც უფრო მოახერხებდა ის ამისდაგვარათ თავის მოქმედების შეთანხმებას, მით უფრო მთელი, ნათელი და მტკიცე იქნებოდა მისი ტაქტიკა.

პირიქით, რაც უფრო ნაკლები უნარი აქვს პოლიტიკურ მოღვაწეს თავი გაართვას მიმდინარე მოვლენების ქარტეხილს, რაც უფრო მეტს ცდილობს თავის მოქმედება ყოველნაირი შესაძლებლობას შეუგუოს, მით უფრო დაუდგრომელი, გაუბედავი და წინააღმდეგობით სავსე იქნება მისი ტაქტიკა. კადეტების პარტია შესანიშნავ ნიმუშს გვაძლევს იმ ხალხისას, რომლებსაც სურთ თავისი ტაქტიკა შეუგუონ რევოლიუციის „სადღეგრძელოსაც“ და მის „შესანდობარსაც“ („განუსვენესაც“).

ამ ნაირათ, რომელიმე პარტიის ტაქტიკა შემცდარათ არ ჩაითვლება მარტო იმიტომ, რომ ის აშენებულია საზოგადოებრივი განვითარების ერთნაირ შესაძლებლობაზე. თუ გვინდა გამოვიცნოთ, რამდენათ სწორია პარტიის ტაქტიკა, უნდა მეცნიერულათ განვიხილოთ რამდენათ შესაძლებელია ობექტიური ისტორიული პირობების მიხედვით ის შესაძლებლობა, რომელზედაც პარტია ეყრდნობა.*) „უმცირესობის“ ტაქტიკური შეცდომები, რომლებზედაც „ფორვერტსი“ უთითებს, იმით აიხსნება, რომ იგი სწორეთ ვერ აფასებს ამ ისტორიულ პირობებს.

„ფორვერტსი“ განაგრძობს: „უმცირესობის“ თვალთა ხედვის ისარი ისეთია, რომ ბურჟუაზიულ დემოკრატიის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთასშუა არსებულ წინააღმდეგობებს აფუჩეჩებს, მეტის-მეტათ აფასებს დუმას, და ამცირებს პროლეტარიატის და წვრილ ბურჟუაზიულ ნაწილებას მასიურ მოქმედებას (კურსივი ჩვენია). უმრავლესობა მეორენაირ შეცდომაში ვარდება, არ იღებს სახეში დუმის მნიშვნელობას, როგორც ძლიერ საგიტაციო საშუალებას, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკურათ ჩამორჩენილ ნაწილების გაღვიძებას.

თუ გერმანელი ამხანაგები ჩვენს შეცდომას მარტო იმაში ხედავენ, რომ ჩვენ ვერ ვაფასებდით დუმას, როგორც სააგიტაციო საშუალებას, საქმე არც ისე ცუდი ყოფილა.

ნეტავ რა ტემაზე ლაპარაკობენ ჩვენი ამხანაგები ყოველ დღიურ მიტინგებზე და კრებებზე, რაზე მსჯელობენ ჩვენი ურთვალავი საგაზეთო სტატიები, ბროშურები და სხ., თუ არა იმავე დუმაზე, მის მოქმედების ხასიათზე მასთან დამოკიდებულებაზე და სხ.

რაც შეეხება იმას, სწორეთ ვსარგებლობთ თუ არა ჩვენ დუმით, როგორც საგიტაციო საშუალებით, აშკარაა, ჩვენ ეს სხვანაირათ არ გვესმის, ვიდრე „ფორვერტსის“ თანამშრომელ ამხანაგებს ესმით. იმათი აზრით ხომ „უმცირესობის“ შეცდომა წინააღმდეგ „უმრავლესობისა“ იმაში მდგომარეობს, რომ ის აფუჩეჩებს დუმის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთას შუა არსებულ წინააღმდეგობებს, და ჯა-

*) იხ. „ეხო“ № 8.

*) თავის თავათ იგულისხმება, რომ სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის სისწორე გარდა ამისა მით განისაზღვრება, რომ ის უნდა ახერხებდეს თავისი უახლოესი მოქმედება საბოლოო მიზანს დაუკავშიროს; აგრეთვე სხვა და სხვა პარტიების ტაქტიკის სიმტკიცე და აზრიანობა მათ კლასობრივ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. მაგრამ ჩვენ აქ „ფორვერტს“-ის სტატიის საზღვრებს არ გადასცილდება.

რია „რესპუბლიკაა“; ფედერაციას ხომ შეერთებული შტატებიც წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავათ ამისა ბ. იგივე ვერ მიჩვენებს მეორე სახელმწიფოს, სადაც პატარა ერები ისე იყოს დაჩაგრული როგორც წითელ კანიანები და ნეგრები ამერიკაში; ჩაგრულ ერის უფლებებს უზრუნველყოფს დემოკრატია და არა ფედერაცია: შეერთებულ შტატებში კი გაბატონებულია არა ხალხის უმრავლესობა, არამედ მსხვილი კაპიტალისტები.

ჩვენ ვამტკიცებდით, რომ საჭიროა მსხვილი ბურჟუაზიის ფრთების შეკვეცა, უკიდურესი დემოკრატიზმის განხორციელება და პატარა ეროვნებათა პოლიტიკური უფლებები საკმაოთ უზრუნველ-ყოფილი იქნება თქვა. ამის შესახებ ჩვენი „განათლებული“ ოპონენტი გაიძახის:

ჯერ ერთი, სად მიჩქმალა ამ სოციალდემოკრატმა კონცენტრაციის თეორია თუ იმავე დროს ის მომხრეა მსხვილი ბურჟუაზიის ფრთების შეკვეცისა? ან ნეტა რომელ „დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ აქვს მსხვილ ბურჟუაზიას „ფრთები შეკვეცილი“? საფრანგეთში, ან ამერიკაში?

ვუპასუხოთ: მსხვილ ბურჟუაზიას „ფრთები“ არ აქვს შეკვეცილი არც საფრანგეთში, არც ამერიკაში, ამიტომ არც ერთი და არც მეორე „დემოკრატიული რესპუბლიკა“ არ არის. რაც შეეხება ავტორის პირველ კითხვას, ის ხომ მის სრულ მის უმეცრებას ამტკიცებს: ალბათ იმ დიდ ტანიან წიგნებში, რომლითაც აღზრდილა ჩვენი ავტორი, არაფერი სწერია ამის შესახებ, ამიტომ საჭიროა რომ მან ორიოდე შაურიანი ბროშურა ან ისეთი პროკლამაცია წაიკითხოს სადაც მისგვარი „მეცნიერებისთვის“ უბრალო. პოლიტიკური საკითხებია განმარტებული. ის იქ ნახავს, რომ თუმცა სოც.-დემოკრატები ეკონომიურ სფერაში „კონცენტრაციის მომხრენი არიან, მაგრამ პოლიტიკურ შისცდილობენ, ფრთები შეუკვეცონ“ მსხვილ ბურჟუაზიას და ის სხვა კლასებთან გაათანასწორონ. განსაკუთრებით ბ. ა—ლი ჩვენი წერილის იმ ადგილს გაუცოფებია, სადაც ჩვენ

როვანათ ვერ აფასებს პროლეტარიატის და გლეხობის მასსიურ გამოსვლას.

დაპოლოს, „ფორვერტსი“ იმ დასკვნას ადგება, რომ „უმრავლესობის“ ტაქტიკა უფრო სწორია, რადგანაც ის შესაძლებლობა, რომელზედაც ის დაყრდნობილია, უკვე სინამდვილეთ ხდება. ამნაირათ „ფორვერტსი“ არსებითათ იმავე მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ. აი ამ სტატიის დასკვნა:

„მაინც არის ისეთი ნიშები, რომლებიც გვეუბნება, რომ „უმრავლესობის“ ტაქტიკა, მიუხედავათ მისი შეცდომისა, იქნება უფრო სწორი იყოს. აღელვება და უწესოებანი, რომლებიც მთელ ქვეყანას ედება, იმას მოწმობენ, რომ რევოლიუციონური სული კვლავ მაღლა იწევს. დუმა კი არავითარ ზომებს არ იღებს, რომ რევოლიუციონურ გზაზე დადგეს; პირიქით, ის სულ უფრო ეფლობა „კანონიერების“ „პარლამენტარული“ მოქმედების ჭაობში.

მისდამი პატივის ცემა, მასზე დაიმედება, ის ნდობა, რომლითაც მას შეხვდენ, დღითი დღე ქრება, მცხოვრებთა უკმაყოფილება **იზრდება**, საქმის მდგომარეობა სულ უფრო მწვავდება. და თუ დუმამ საბოლოოთ დაკარგა ნდობა... ერთბაშათ გადმოხვეწილი ქარტეხილი დუმით აღარ ისარგებლებს, როგორც იარაღით, არამედ არ მიაქცევს მას ყურადღებას, აუვლის მას გვერდს და წავა თავისი საკუთარი გზით.

ვ. კალინინი.

ვამბობდით, რომ ის ვინც ამიერ კავკასიის ავტონომიას ითხოვს, ის ჩვენი ქვეყნის ბედს კულტუროსან რუსეთს აშორებს და ველურ აზიას უკავშირებს თქვა:

„თურმე რუსეთი კულტუროსანი ქვეყანა ყოფილა და ჩვენ კი, უმადურნი მას უკულტურობას ვაბრალებთო“ გაიძახის „ივერიის“ პუბლიცისტი.

აბსოლიტური ჭეშმარიტობა ქვეყანაზე არ არსებობს ბ-ნო ა—ლო; თათრებთან და ამიერ-კავკასიის სხვა ერებთან შედარებით კი რუსეთი სწორეთ რომ კულტუროსანი ქვეყანაა და ამიტომაა რომ ჩვენ რეაქციონერებათ ვთვლით თქვენისთანა „შორსჭვრეტელ“ პოლიტიკოსებს, რომელნიც ამიერ-კავკასიის ავტონომიას თხოულობენ. ახალგაზდა რუსეთი დღეს სათავეში უდგას მებრძოლ კაცობრიობას, სათათრეთს კი ჯერ ველურ მდგომარეობიდან თავი ვერ დაუხწევია.

დასასრულ არ შეგვიძლია ერთი პატარა რჩევა არ მოგცეთ: იკითხეთ ისევ შაურიანი ბროშურები და პოპულიარული პროკლამაციები, თქვენ გონებრივ ავლადიდებას ეს უფრო მეტს შემატებს, ვიდრე მსხვილ-მსხვილი ტომები.

# კავკასია

**ქუთაისი.** როგორც იცით სვანეთში უკვე გაიგზავნა სალდათების და კაზაკების ნაწილი გუშინ და დანარჩენი დღეს დილით. ამის შესახებ გენ. გუბერნატორთან იყო ქუთაისის ამომრჩეველი ამხ. ნ. გ. მაჭავარიანი და შეეკითხა თუ რა მიზეზით გზავნიან ჯარს სვანეთში „ნუთუ სვანეთსაც არ აცდება ყველა ის უბედურება: წვა, ცარცვა, ხოცვა და დანარჩენი საშინელება, რაც სხვაგან განიცადეს-ო“. გენ.-გუბერნ. იაზიკოვმა უპასუხა, რომ ჯარი იგზავნება მხოლოთ გადასახადების ასაკრეფათ ქვემო და თავისუფალ სვანეთში (სადადეშკელიანოში კი არა) და და არავითარი ძალმომრეობას, თუ ხალხის წინაღმდეგობას არ გაუწევს ჯარს, ადგილი არ ექნებაო. მე სრულებითაც არ მსურს მცხოვრებლების დარბევა. მაგალითათ ალიხანოვისთვის ბომბის სროლის დროს ქუთაისს დარბევა მოელოდა, მარა დროზე მიღებული ზომებით შევაჩერეო. შემდეგ ჯარი შორაპანშიც გავგზავნე, მაგრამ როგორც იცით არავითარი უწესოება იქ არ ჩაუდენიათ. გარწმუნებთ არც სვანეთში მოხდება „პოგრომი“-ო. ექსპედიციის უფროსად სვანეთში წავიდა პოლკოვნიკი. შიშკევიჩი, რომელსაც კარგი „სახელი“ აქვს ქუთაისში მოპოებულიო... მხოლოთ გიმეორებთ ეს ყველა მაშინ შესრულდება თუ მცხოვრებლები წინააღმდეგობას არ გაუწევს ჯარსო. შეკითხვაზე, რომ წინააღმდეგობის გაწევათ პროვაკატორული გასროლა არ ჩაითვალოსო, იაზიკოვმა უპასუხა რომ არ ჩაითვლება.., დაისჯებიან დამნაშავენი, მხოლოთ ხალხმა უნდა დაეხმაროს ჯარს მათ აღმოჩენაშიო...

ვნახოთ რამდენათ გამართლდება ეს დაპირებანი...

—

ქუთაისში ღამღამობით კიდევ არ წყდება კაზაკების თარეში და ხალხის ძარცვა, თუ ვინიცობაა ვინმეს მოასწრეს გარეთ, მაგალითათ ამ რამდენიმე დღის წინათ „გასწმინდეს“ და სიცოცხლესაც კინაღამ გამოასალმეს დ. კ—ლი, რომელსაც ცოტათი შემოლამებოდა. ამის შესახებაც ჰქონდა მაჭავარიანს გუბერნატორთან ლაპარაკი და მან აღუთქვა ყურადღების მიქცევა, მხოლოთ დაუმატა, რომ „Казаки и въ моемъ вѣдѣніи находятся“-ო (?!)..

ამ ბოლო დროს ქუთაისი სულ მოფინეს „ახალ-მოდის“ ყაჩაღებმა წერილებით, რომლებითაც ფულებს ითხოვენ სიკვდილის შიშით. ამ ახირებულ ქალაქში ერთი ახალი ახირებული ჯგუფიც დაარსებულა:

„მმუსვრელთა ჯგუფი“ რომელიც ჯერჯერობით უნარს მხოლოთ ცარცვა გლეჯაში იჩენს.

# რუსეთი

**ჯარი და რევოლიუცია.** ჯარის მღელვარება თანდათან მატულობს. მთავრობა ყოველივე ღონისძიებას ხმარობს, რომ როგორმე ბოლო მოუღოს ამ მისთვის მეტათ არა სასიამოვნო მოვლენას, მარა ამაოთ: არც სასტიკი ზომები, არც დათმობა, არც ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანა არ მოქმედობს ღრმა ძილიდან გამორკვეულ ჯარის კაცებზე. მეზღვაურების და ქვეითი ჯარის კაცების „ცელქობას“ კიდევ რამეს მოუხერხებდა ჩვენი მთავრობა, სანამ ყაზახები ერთთავათ მის მხარეზე იყვენ, მარა ამ ბოლო დროს მღელვარებამ ყაზახებს შორისაც იჩინა თავი და ამ გარემოებამ დიდ განსაცდელში ჩააგდო რუსეთის ბიუროკრატია. ამ ჟამათ მაინც განსაკუთრებით საჭიროა ჯარის კაცები მთავრობისათვის. გლეხების მოძრაობა მთელ რუსეთს მოედო. არ არის ისეთი კუთხე, კუნჭული, სადაც გლეხი სალათას ძილით იყოს შეპყრობილი უწინდებურათ. ვინღა დაამშვიდოს გლეხები? ვინ დაიფაროს მუქთა ხორა მემამულეების ავლა-დიდება და სრა-სასახლეები? ჯარმა ხომ გაუფცქვნა კიდეც გემო „აკრძალულ ხილს“ თავისუფლებისათვის ბრძოლას და უარს ამბობს ღვიძლი ძმის მოკვდინებაზე. მეორე მხრით ქალაქებშიაც დიდი ჯარებია საჭირო, რადგან გაფიცვებს, მიტინგებს და დემონსტრაციებს ბოლო არ უჩანს. ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარდება ჩვენი მთავრობა ერთგული ცხედრობის „ლალატის“ წყალობით...

— ჯავშნიან გემებზე „ჩესმაზე“ და პანტელეიმონზე“ ქერჩის ახლო მახლო ცურვის დროს დიდი არეულობა მოხდა. საქმის ვითარება ახლაც მეტათ საშიშია. სევასტოპოლში მღელვარებაა, გაიგზავნა საიდუმლო პოლიციის აგენტები.

— კრეისერ „აზოვზე“, რომელიც რეველის ნავთსადგურში დგას, 25 ივნისს არეულობა დაიწყო: არეულობა გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ, რომელიც მატროსებს ნაპირზე გასვლას უკრძალავდა. არეულობა ისე გამწვავდა, რომ გემზე ნოვოჩერკასი პოლკის ერთი ბატალიონი აიყვანეს. ამან საქმეს ვერ უშველა და არეულობა დღემდისაც არ ჩამცხრალა. ნოვოჩერკასკი პოლკი ერთად ერთი პოლკია მთელ რეველში, რომლის იმედი ჯერ კიდევ არ დაკარგვია მთავრობას. დანარჩენი პოლკები კი (კრასნოიარსკი, ცარიცინსკი) მეამბოხეებათ ითვლებიან.

# პარტიის ცხოვრება

როგორც ნამდვილ წყაროებიდან გავიგეთ, ზოგიერთ მენშევიკურ რაიონებშიაც კი უარჰყოფენ კადეტების მოთხოვნის მხარის დაჭერის შესახებ პასუხის მგებელი სამინისტროსი. აი, მაგალითათ სევასტოპოლში და ხარკოვში ამ დღეებში უარუყვიათ ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუცია შესახებ კადეტების მხარის დაჭერისა.

—

ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკურ გაზეთის „გოლოს ტრუდა“-ს მეორე და მესამე ნომერში მენშევიკების ერთი ბელადთაგანი, ამხ. რახმეტოვი, კადეტებთან შეთანხმებას (კოალიციას) გვირჩევდა. „გოლოს ტრუდა“-ს რედაქციამ არავითარი შენიშვნა არ მისცა რახმეტოვის წერილებს, რის გამოც ყველამ ისე იფიქრა, რომ რედაქცია ყველაფერში ეთანხმება რახმეტოვსო. დღეს კი, მეშვიდე ნომერში, გაზეთი აცხადებს, რომ რახმეტოვს არ ვეთანხმებიო. აი რასა სწერს ის: „ამხ. კ. პ—საგან წერილი მივიღეთ შესახებ რახმეტოვის სტატიისა. საჭიროთ ვცნობთ განვაცხადოთ, რომ სავსებით არ ვეთანხმებით რახმეტოვის ზოგიერთა შეხედულებას და კერძოთ სრულიათაც არ ვემხრობით მის აზრს შესახებ „პოლიტიკური კოალიციისა“ კადეტებთან“ (იხ. „გოლ. ტრუდა“. № 7). ცხადია, გაზეთს დავიწყებია მაშინვე გაეკეთებინა ეს შენიშვნები რახმეტოვის წერილისთვის; კარგია კიდევ, რომ გამოჩენილა კეთილი ამხანაგი კ. პ., რომელსაც გაუხსენებია გულმავიწყი გაზეთისთვის მისი მოვალეობა, და გაზეთიც იძლევა შენიშვნებს, ცოტა დაგვიანებულათ, მაგრამ მაინც იძლევა. ამას, რა თქმა უნდა, არა უშავს რა — ეს ასე ხშირია ჩვენს პარტიაში, ეს წყეული გულმავიწყობა... მიუხედავათ ამისა ჩვენ მაინც არ შეგვიძლიან არა ვთქვათ, რომ „რევოლიუცია გვასწავლის“, ის რაც გუშინ მოსაწონი გვეგონა, დღეს აღარ მოგვწონს და უარს ვყოფთ. გარდა ამისა, ირკვევა, რომ თითონ მენშევიკებშიც არ ყოფილა ერთსულობა, მათაც ჰყოლიათ მემარცხენენი და მემარჯვენენი.

—

**მეორე რაიონის პოდრაიონ.**: 4 კლისს მოხდა პარტიის წევრთა კრება (თუთუნის ფაბრიკ ყუშების) ორგანიზაციის წესდების პროექტის განსახილველათ (კრებას დაესწრო 30) მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო პროექტი იმ შენიშვნებით, რომელიც უკვე იყო მოხსენებული ლამპრის 48 ნომერში სტალრების ცეხის მიერ. ამას კიდევ მოუმატა შემდეგი: თბილისის კამიტეტი სცემდეს ყოველ თვიურ ანგარიშს თავისი შემოსავლისა.

# მუშათა ცხოვრება.

## მ ო წ ო დ ე ბ ა

### პროფესიონალურ კავშირების ცენტრალური კომისიისა.

მუშებო! არსად არა მუშა ხალხი ისე გაჭირვებული, არსად არაა მისი ადამიანობა ისე დამცირებული, როგორც ჩვენში. აიტომ არის, რომ ასე გამუდმებით ხშირდება პროფესიონალური გაფიცვები. მაგრამ რა გამოვიდა? გუშინ მომატებულ ხელფასს დღეს ისევ გვიკლებენ ხაზეინები, გუშინ შემოკლებულ სამუშაოს დღეს ისევ გვიმატებენ და ხელ-ახლა გაჭირებაში გვაგდებენ. და ეს, სხვათა შორის, იმიტომ ხდება, რომ ხაზეინები ერთდებიან, თავიანთ კავშირებს აღგენენ და საერთო იერიშით მოდიან ჩვენს წინააღმდეგ. საჭიროა ჩვენც შევერთდეთ, საჭიროა ჩვენც დავირაზმოთ პროფესიონალურ კავშირებათ, რომ ხაზეინების კავშირს ჩვენი ძმური კავშირი დახვდეს და ვაჟკაცური ანგარიში გაუწიოს. მაშინ ისე ადვილი აღარ იქნება მომატებული ხელ-ფასის წართმევა და ჩვენი ადამიანობის გადაქცევა.

და აი, ჩვენ გიწვევთ ყველა მუშას ხელი ჩავკიდოთ ერთმანეთს და კავშირებათ დაირაზმოთ. პროფესიონალური კავშირების ცენტრალური კომისია მზათ არის დახმარება გაგაწიოთ.

კავშირების შედგენა ორნაირათ შეიძლება. ზოგნი ამბობენ, რომ მუშებისთვის პარტიული კავშირებია საჭიროვო, —ასე ფიქრობენ, მაგალითათ, ეგრედ წოდებული დაშნაკცაკანები. მაგრამ ისინი სცდებიან. პარტიული კავშირების შედგენა ეს იმასა ნიშნავს, რომ სხვა-და-

სხვა პარტიის მუშები ცალკე ჯგუფებათ უნდა დაიყვნენ და ცალკე კავშირები შეადგინონ, ეს-კი ძირიანათ არღვევს და აუძლურებს ჩვენი ერთობის საქმეს. მეორეთ, პარტიული კავშირების შედგენა კიდევ იმას ნიშნავს, რომ იმ მუშებს, რომლებიც ამა თუ იმ პარტიას ეკუთვნიან, ვაშორებთ დანარჩენ მუშებს, რომლებიც, არავითარ პარტიას არ ეკუთვნიან და მათ შორის ორმოსა ვთხრით, ეს კი სრულიათ ეწინააღმდეგება ჩვენი პროფესიონალური ბრძოლის ინტერესებს. და რადგანაც ჩვენ მუშათა კავშირის გაძლიერება გვინდა, და არა მისი დაუძლურება, რადგანაც ჩვენ მუშების შეერთებას ვეტრფით, და არა მათს დანაწილებას, ამიტომ საჭიროა არა პარტიული კავშირების შედგენა.

და აი, ჩვენ ვიწვევთ ყველა მუშას, განურჩევლათ მათი პარტიული რწმენის ერთმანეთს ხელი გაუწოდონ, არა პარტიულ კავშირებათ დაირაზმნენ და ამრიგათ გაუწიონ ბრძოლა ხაზეინებს.

პროფ. კავშირების ცენტ. კომისია მზათაა მუდამ დახმარება გაუწიოს მათ.

პროფესიონალური კავშირების ცენტ. კომისია თფილ. კომ. რ. ს.-დ. მ. პ.

---

**ოგანეზოვის შეშის საწყობი.** (ანდრეევის ქუჩა). შესანიშნავია რომ ამ რეაქციის დროს ბევრი ხაზეინი და მათი „ფოდრაჩიკები“ შესანიშნავათ ასრულებენ პოლიციურ როლს. აი ამ პოლიციელთა ბანაკში ჩაითვლება ხსენებულ საწყობის „ფოდრაჩიკი“ ბაგრატა მადატოვიც.

ამას წინეთ ხსენებულ წურბელას იქ მომუშავეებმა წარუდგინეს მოთხოვნილებანი, რომელიც სულ 5 მუხლისაგან შესდგება: 1) 20 მ. მაგიერათ მიეცეთ მუშებს თვეში 25 მ. 2) 4 მუშას მიეცეს ერთი სუფთა და ნათელი ოთახი ხაზეინის ხარჯით. 3) თვეში ერთხელ აბანოს ფული. 4) ექიმის ფული. 5) წელიწადში ერთი თვით ეძლეოდეს მუშებს „ოტპუსკი“ ადგილი შეენახოთ და ჯამაგირიც უკლებლათ აძლიონ.

რა თქმა უნდა, ეს ძალიან იუკადრავა კაცის ქერქში გახვეულმა ვამპირმა მადატოვმა და მუშებს უთხრა ჯამაგირი მიეღოთ ამ თვის პირველში და წასულიყვენ. გუშინდლამდის ტყუილათ იწუხებდენ მუშები თავს და ჯამაგირი მაინც ვერ მიიღეს. გუშინ მუშები მისულან და უნახავთ რომ მათ ალაგზედ სხვები მუშაობენ. მაშინ მათ დაუჭირეს ცხენებს სადავე და მოსთხოვეს ხაზეინს ფული ეხლავე მიეცა.

ხაზეინმა იწყინა ეს ძალიან, ქურდობა დასწამა მუშებს და ახლად დაქირავებული მუშები მიუსია მათ საცემათ. აქ სამწუხარო ისტორია დატრიალდა. მუშები დაჭრივნენ და თავები ამტვრიეს გაფიცულებს. ამის მოწამეა გ. გორგიჯანიძე. პოლიციელიც ამ გვარი უნდა.

*არისტე.*

---

**წყლის საყვანი მილების სახელოსნოები.** გუშინ 3 ივლისს წარუდგინეს მოთხოვნილებები თბილისის თვითმმართველობას, წყლის საყვანი მილების სახელოსნო მომუშავეებმა

1. რვა საათი სამუშაო დღე.

2. მომატება ჯამაგირის; ა) შავ მუშებს გაუხდეს 30 მან; ოსტატებს, ვინც იღებს 30—41 მანეთამდე, მოემატოს 50%; ვინც—41 მან. და ზევით მოემატოს 20%.

3. ახალ მიღებულ შავ მუშას დეენიშნოს 25 მ.

4. მიღება და დათხოვნა მუშებისა იყვეს თვით მუშებზე დამოკიდებული.

5. წელიწადში ეძლეოდეს ერთი თვის თავისუფლება ადგილისა და ჯამაგირის შენახვით.

6. თუ ვინიცობაა დაშავდა მუშა მუშაობის დროს და აღარ შეუძლია მუშაობა ეძლეოდეს „პენსიათ“ სრული ჯამაგირი.

7. თუ მუშამ იმსახურა ხუთი წელიწადი და მას შემდეგ მოინდომა თავის დ-ნებება სამუშაოსი მიეცეს ერთდროული დახმარება ხუთი თვის ჯამაგირი (ე. ი. წელიწადში ერთი თვისა რასაც იღებს მუშა და, თუ ათი წლის შემდეგ მოინდომა გასვლა—მიეცეს ერთ დროული დახმარება 3 თვის. ჯამაგირი (ე. ი. წელიწადში სამი თვისა) ვინც 15 წლის შემდეგ გავა მიეცეს ½ თვის ჯამაგირი ე. ი. წელიწადში ექვსი თვისა ვინც 15—20 მდ —½ თვის ჯამაგ. ე. ი. წელიწადში რვა თვისა. და თუ დაიმსახურა 20 წელიწადი დეენიშნოს სრული „პენსია“.

8. თუ ვინიცობაა ავად გახდა მუშა, ან მისი სახლობა, მიეცეს ფულად ერთ დროული დახმარება რამდენიც დაეხარჯება ექიმზე და წამლებზე.

9 მომატებულ იქმნას მესამე მორიგე ოსტატი.

10 მორიგ ოსტატებს მიეცეს წელიწადში თითო პლაში და თითო წყვილი ისეთი ჩექმები, რომლებიც წყალს არ იკარებენ.

11, ახალ წელიწადს და აღგომას ეძლეოდეს „საჩუქრად“ თითო თვის ჯამაგირი.

12. გაფიცვისათვის არავინ იქმნას დათხოვნილი

---

**ხელოვნური წყლების ქარხნების მუშები.** არ ვიცოდით, თუ ჩვენი ხაზეინები ასე უსირცხვილოთ მოიქცეოდენ. მარა სირცხვილი ზოგიერთ ხაზეინს ანკი ვინ მისცა. მან ოღონდ ორიოდე გროში „მოიგოს“ და არაფერს დ გიშვებს დაგპირდება—ხელათ მოგატყუებს. მოგიმატა ჯამაგირი, თუ დრო გიპოვა—ხელათ მოგიკლებს. თიბათვის პირველ რიცხვებში ჩვენ გაიფიცეთ. გაფიცვა ჩვენდა სასარგებლოთ გათავდა. ხაზეინები შეგვპირდენ ჩვენ მოთხოვნილებეის სრულ დაკმაყოფილებას. ზოგიერთებმა მართლაც შეასრულეს დანაპირები. მხოლოთ ზოგიერთები, როგორც არიან: „ზარია“, „გენათ“, „სტარი ზემელი“ და ხანჯალაძე, ბევრში დღესაც არ აკმაყოფილებენ. ზოგიერთი ლანძღვა-გინებით გვიმასპინძლდება. ნამეტანს ბრაზობს მაინც „ზარიას“ ხაზეინი. სულ სოციალდემოკრატებს ბრალია, რომ თქვენ ასე აიშვით და ჩვენი აღარ გეყურებათო! „კნიშკებს“ ხომ არც ერთი არ იძლევა. ჩვენ წინადადეიას ვაძლევთ ქარხნის პატრონთ რომ ხუთმეტი დღის განავლობაში მათ დააბეჭდინონ კნიშკები და დაურიგონ. კნიშკებში აუცილებლათ უნდა იყოს აღნიშნული ყველა ის უფლებები და პირობები, რომლებიც ჩვენ გაფიცვით მოვიპოვეთ. მოვითხოვთ ჩვენი მოთხოვნილებების სრულ დაკმაყოფილებას.

ხელოვნურ წყლების ქარხნების მუშათა პროფესიანალური კავშირი.

---

ჩვენ, ტრაქტირების, სარდაფების, სირაჯების და სამიკიტნოების მუშები, მესამე დღეა, რაც გავიფიცეთ. როგორც ხმა დადის ზოგიერთი ალები აკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნილებებს. ზოგიერთი წვრილი ბურჟუები უარს ამბობენ და გაიძახიან: „დავკეტავთ, არ გვინდა სულ ვაჭრობაო!“ ზოგიერთი კი აი რა ოინებს ხმარობს: ნათლავს რომელიმე მოსამსახურეს ამხანაგის ან ნათესავის სახელით და განაგრძობს მუშაობას. შეუგნებელი ამხანაგიც თანხმდება. არ იცის, რომ ამით ის ჰყიდის თავის ამხანაგებს ხაზიაინის ინტერესებზე. არ იცის რომ ხაზეინი სულ ერთია, მოკეთეა ის თუ ნათესავი, ყველა ერთნაირათ აძრობს მას ტყავს. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ იმ ხაზეინებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მუშებს, გამოაცხადონ ეს გაზეთის საშუალებით და მოუწოდონ თავიანთ მუშებს. იმ წვრილ ბურჟუებს კი, რომლებიც აშინებენ მუშებს დუქნების დაკეტვით და მუშების სამართლიან მოთხოვნილებებს უარს ეუბნებიან, წინადადებას ვაძლევთ: თავი გაანებონ ასეთ მუქარას, თუ დაკეტავენ შემდეგ ისინი ვეღარც კი გააღებენ. იმ ამხანაგებს კი, რომლებიც ვითომ ამხანაგათ შედიან ხაზეინთან, წინადადებას ვაძლევთ, ნუ აჰყვებიან ხაზეინებს, მხარი დაუჭირონ გაფიცულ ამხანაგებს, თუ არ უნდათ, რომ სამუდამოდ გამოირიცხონ მოსამსახურეთა კავშირიდან და მოღალატის სახელი ატარონ. შეუძლია მარტო ივაჭროს მან ვისაც ხელზე არის აღებული პატენტი ვნახოთ რამდენ ხანს შესძლებს მარტო ალა უმუშა ხელოთ საქმის წარმოებას.

მივმართავთ გაფიცულ ამხანაგებს. ამხანაგებო! ზოგიერთი ხაზეინები აკმაყოფილებენ სრულიად ჩვენს მოთხოვნილებებს. საჭიროა ჩვენში მეტი თანახმობა, მეტი სოლიდარობა და ჩვენი სრული გამარჯვებაც აუცილებელია!

*გაფიცვის ბიურო.*

---

# დეპეშები

(„პეტერბურგის სააგენტოსაგან“)

3 ივლისი.

**პეტერბურგი.** ნიკოლაევის რკინის გზის საქონლის სადგურზე გაიფიცენ მუშები. ითხოვენ ხელ-ფასის მომატებას.

**მოზირი.** საშინელმა ნიაღვარმა მოსავალი სრულიად გაანადგურა.

**ელისავეტოპოლი.** მდაბლობები ღვარმა წალეკა და მოსავალი გააფუჭა.

**ქერჩი.** ქალაქი წყლით არის სავსე. ქვა-ფენილი და ხიდები წყალმა წალეკა. ვოგზალთან მისვლა შეუძლებელია.

**იაროსლავლი.** რიბინსკში ჟანდარმის აფიცერის ბინასთან რაღაცამ იფეთქა, ასეთივე აფეთქება მოხდა პოლიცმეისტრის ბინასთანაც. უბედურება არ მომხდარა.

**შუა.** მუშები ითხოვენ სამუშაო დღის შემოკლებას და ქირის მომატებას. თუ უარი უთხრეს გაიფიცებიან.

**დონის-როსტოვი.** ადმინისტრაციას მდიდარი კოშკინის 1.200,000 ვალი დაედვა.

**პეტერბურგი.** ირინოვის რკინის გზის სადგურ რჟევკაზე, მატარებლის ქვეშ მოყვა სალდათი. მატარებლის შეჩერებამ ოხტინის ზავოდის მუშების ყურადღება მიიქცია. შეგროვდა 3000 კაცი. ორთქლ-მავალის მოსამსახურეებს მუშებმა ქვები დაუშინეს. ხალხმა ბოძებით და ფიცრებით გადალობა გზა, მემანქნემ ორთქლი გამოუშვა და ორთქმავალის მოსამსახურეები ცდილობდენ რამენაირათ დამალულიყვნენ. მუშები დამალულების გაცემა, ითხოვდენ. ერთი მუშა გამოვიდა და დაარწმუნა მუშები, რომ სალდათი მთვრალი იყო და მოსამსახურეები არაფერ შუაშია. მაშინ მუშები დამშვიდნენ.

**ლონდონი.** „დეილი-ტელეგრაფში“ დაბეჭდილია გრაფ ვიტტესთან საუბარი. ვიტტეს უთქვამს: რა სამინისტროც უნდა იყოს, თუ ხელმწიფესაგან იქნება დანიშნული მე მაინც ნდობით შევხვდავ მას. მაგრამ ჩემი აზრით რაც უნდა ლიბერალური მთავრობა იყოს, რევოლიუციონური ტალღა მაინც წალეკავს მას.

**პეტერბურგი.** საიმპერატორო ალექსანდრეს ლიცეის შენობას ცეცხლი გაუჩნდა. ზარალი 65,000 მან. აღემატება.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** სოფელ პანინთან შეიარაღებული ჯგუფი თავს დაეცა მონოპოლიის შემკრეფს და წაართვა 10,000 მან.

**ვარშავა.** გაცარცვეს ორი სასმელების მაღაზია.

**გროდნო.** ბრესტში გაიფიცნენ გილზის ყველა ფაბრიკები, ითხოვენ 8 საათის სამუშაო დღეს.

**ვიაზნიკი.** გაცარცვეს მონოპოლიის შემკრეფი.

**მინსკი.** პინსკის და სლუცკის მაზრაში სოფლის მუშების გაფიცვაა.

**რეველი.** დაატყვევეს ესტონური გაზ. „ვატლეიას“ ნომრები.

**ხარბინი.** ჩინელების მინდვრები უთვალავი ჰიებით აივსო. მოსავალი გაფუჭდა.

**პეტერბურგი.** 4 ივლისს ქალაქში უსაქმოთ დარჩენილი მუშები საქმეს შეუდგებიან. მუშების მოთხოვნისამებრ სამუშაო დღე 8 სათი იქნება.

**პეტერბურგი.** კრონშტადში გაიფიცენ გემიე მოსამსახურე შკიპერები და მენახშირეები. კრონშტადტიდან პეტერბურგში გაგზავნილმა გაფიცულების დელეგატებმა პეტერბურგის გაფიცვის კომიტეტის მოთხოვნები მიიღეს.

**პეტერბურგი.** 1 ივლისს ტამბოვის გუბერნატორმა შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: კამელოვკის მაზრაში აგიტატორის დატყვევების დროს გლეხებმა კაზაკებს წინააღმდეგობა გაუწიეს, დასჭრეს ორი კაზაკი. კაზაკებმა ისროლეს: დაიჭრა 4 გლეხი, ერთი მოკვდა და ერთიც ცხენებმა გათელეს. სოფელ კოჩეტოვკაში ვიცე-გუბერნატორის თვალწინ, გლეხები, რომლებსაც რკინის გზის მუშები აქეზებდენ, შეიარაღდენ ჯოხებით და ქვებით და აგიტატორს იცავდენ ჯარისგან. დაშავებულია ნეჟინის პოლკის ესკადრონის კორნეტი, ორი სალდათი და ერთი სტრაჟნიკი დაჭრილია თავში. სტრაჟნიკებმა და დრაგუნებმა მოკლეს გლეხი და დასჭრეს ქალი. აგიტატორები დაიჭირეს. კირსანოვის მაზრაში გლეხებმა სცემეს სტრაჟნიკს, რომელმაც ორი გლეხი დასჭრა. მაზრაში ჯარები გაიგზავნა

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენციაში დელეგატის არჩევნებში მონაწილეობაზე უარი სთქვა. უარი იმით დაასაბუთა, რომ სოციალისტებს ცალკე აქვთ თავისი საერთაშორისო კონგრესები და სოციალ-დემოკრატიას არ შეეფერება ბურჟუაზიული პარტიების კონფერენციაზე დასწრება. ამ საკითხში სოც.-დემ. ფრაქცია პირველათ დაშორდა მშრომელთა ჯგუფს, რომელმაც მიიღო მონაწილეობა არჩევნებში.

**მიტავა.** იმ ძეგლის მაგივრათ, რომელიც პოლიციამ ფრიდრიხ შტადის მაზრაში დაანგრია, ვილაცებმა ისევ ამართეს უშველებელი ძეგლი რევოლიუციონური წარწერებით. ძეგლი ჯარმა დაანგრია.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბირო. თავმჯდომარეობს მუროშცევი. დუმა შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხის გარჩევას შეუდგა. დუმის შეკითხვებზე პასუხს იძლევა მინისტრის ამხანაგი მაკაროვი. მაკაროვი ტრიბუნაზე ადის და ლაპარაკობს ადმინისტრატიულის წესით გადასახლებაზე. მაკაროვს სურს წაიკითხოს კერძო წერილი, რომელიც ერთ გადასახლებულს უნახეს გაჩხრეკის დროს, მაგრამ დუმა ამის ნებას არ აძლევს ორატორს. როცა მაკაროვი გაძლიერებულ დაცვის წესებზე ლაპარაკობს სიჩუმე ირღვევა, ისმის უკმაყოფილო ხმაურობა, სტვენა, ორატორი ამბობს, რომ თითონ მინისტრები ცდილობენ გაძლიერებულ დაცვის წესები შეამსუბუქოს (ისმის სიცილი), მარა აგიტაციით გამოწვეული ამბოხება („სმუტა“), გვაიძულებს შემოვიღოთ განსაკუთრებული წესები, რომლებიც საზოგადოების ინტერესებს იცავს და სრულიად არ არის საშიში და მავნებელი (დიდი ხმაურობაა). განსაკუთრებული ზომების მიღებით ჩვენ ვიცავთ წეს-რიგს და მშვიდობიანობას. შინაგან საქმეთა მინისტრის ვალია მოიქცეს ისე, როგორც აწარსებული კანონი უბრძანებს. ამბობენ, რომ ჩინოვნიკებმა თავისი მოქმედებით დაარღვიეს 17 ოქტომბრის მანიფესტი, მაგრამ ავიწყდებათ, რომ მანიფესტმა მოქალაქეობრივი თავისუფლება გამოაცხადა, მაგრამ ერთი კანონიც კი არ შეუცვლია. გაძლიერებული დაცვის წესებს შემოვიღებთ და არ მოვსპობთ, სანამ არ გამოიცვლება ძველი კანონი. ეს აზრი მგონი „დუმასაც“ ასე ესმის, როგორც პიროვნების ხელუხლებლობის კანონ-პროექტიდან სჩანს. როცა პიროვნების ხელუხლებლობის კანონი გამოვა, გაძლიერებული დაცვის წესები მოისპობა აღმასრულებელი ძალა პირნათლათ ასრულებს კანონებს (ისმის საშინელი ხმაურობა, სტვენა, ყვირილი).

---

რედ.-გამომც. **ნ. ახმეტელაშვილი.**